ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება განსაზღვრავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს
– სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში – საბჭო) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი

საბჭოს მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

მუხლი 3. საბჭოს კომპეტენცია

საბჭოს კომპეტენციას შეადგენს:
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების , აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტიების პროექტების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხილვა .

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების , მეწარმე იურიდიული პირებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

3. საბჭო შედგება არა ნაკლებ 11 წევრისაგან, რომელშიც ერთი სქესი წარმომადგენლობა არ უნდა
იყოს 1/3-ზე
ნაკლები.

მუხლი 5. საბჭოს უფლება

1. საბჭოს უფლება აქვს მიმართოს მერს დასაბუთებული რეკომენდაციით მისი წევრის საბჭოდან გაყვანის ან საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის შეყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას ასეთი რეკომენდაციის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ იღებს მერი.
2. საბჭო თავისი შემადგენლობიდან 1 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

მუხლი 6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო საბჭოს მუშაობაში ხანგრძლივად (6 თვე) მონაწილეობის მიუღებლობისას;

გ) გადაწყვეტილებით, რომელსაც იგი იღებს თავისი ინიციატივით ან საბჭოს წარდგინებით (საბჭოს წევრის მიერ დებულების დარღვევის შემთხვევაში).

2. მერი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ან ახალი წევრის დანიშვნის შესახებ და ამის თაობაზე წინასწარ აცნობებს საბჭოს.

მუხლი 7. საბჭოს სხდომის მოწვევისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, გარდა ამ დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს სხდომის მიერ არჩეული სხდომის წამყვანი.

2. საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც. ინფორმაცია სხდომის დღის წესრიგის შესახებ წინასწარ მიეწოდება საბჭოს წევრებს.

3. მერი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს საბჭოს სხდომა. ამ შემთხვევაში სხდომის მოწვევის დროსა და სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს მერი.

4. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 8. საბჭოს რიგგარეშე სხდომა

1. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლიათ:

ა) მერს ;

ბ) საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს (წერილობითი მოთხოვნით).

მუხლი 9. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომები ფორმდება კანონით დადგენილის წესით შედგენილი სხდომის ოქმით რომელსაც ხელს აწერს თავჯდომარე და მდივანი.
2. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი. საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პირადი პოზიცია საბჭოს სხდომის ოქმში შეტანით.
3. საბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებს, რომელიც წარედგინება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერსს, ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

1. საბჭოს გაუქმების, აგრეთვე მის შემადგენლობაში და საბჭოს საქმიანობის წესში ცვლილებების შეტანის საკითხს, საბჭოს რეკომენდაციით ან საკუთარი ინიციატივით, წყვეტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.